№ 100
კვირა, 25 მაისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 100
კვირა, 25 მაისი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 7 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მღვდელი **დავით**, იუნკერი გრიგოლ ⅆ **ნიკოლოოზ იოსების ძენი კავკასიძენი** აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივის-მცემელთ, რომ ორშაბათს, 26 მაისს, დილის 10 საათზედ ს. გორიჯვრის წმ. გიორგის ეკკლესიაში (გორის სადგურიდგან 2 ვერსია) გარდახდილ იქნება წლის წირვა, ხოლო წირვის შემდეგ პანაშვიდი ბიძისა მათისა ნახარებოვის უდაბნოს წინამძღვრის **არქიმანდრიტის მ. ამბროსის** (ერობაში ალექსანდრე კავკასიძე) სულის მოსახსენებლად.

ამავე დღეს იქნება გარდახდილი წლის წირვა და პანაშვიდი დედისა ჩვენისა მღვდლის **იოსებ კავკასიძის ქვრივის ეფემიას** სულის მოსახსენებლად. (2—110—2)

# ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს **ჭავჭავაძისას** (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21) და „**წერა კითხვის საზოგადოების**“ წიგნის მაღაზიას.

სათავად-აზნაურო თეატრი
სამშაბათს 27 მაისს
ახლად შემდგარი ქართული საერო სიმღერების

## ხ ო რ ო

**ალ. კავსაძის** ლოტბარობით ახლად შეკერილ საგანგებო ქართულ ქულაჯებით გამართავს

## კონცერტს

ოთხის განყოფილებით 28 სიმღერით

ხორო შეასრულებს **მხოლოდ საქართველოს** ყველა კუთხეების საუკეთესო **ხმებს:** ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ.

დასაწყისი საღ. სრულ 9 საათ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

ანონსი: 31 მაისს საღ. განჯაში ესევე ხორო გამართავს კონცერტს.

გამგე ხოროსი და კონცერტისა
ივ. მჭედლიშვილი

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფების გასინჯვა შეიძლება დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ.**

**ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი-საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია** (10—6.—5)

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. ზროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაზეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. ზროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი.** 5—6 საათ· ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესად ნაბრძანებია გამოწვეულ იქმნას სამხედრო ზეგრის გადასახლებლად თერგის და ყუბანის ოლქებში და ამიერ კავკასიაში 4,500 მკვიდრი.

დანიშნულ იქმნა, ტფილისის განყოფილების მოსამართლის თანაშემწედ—ბ. კარასევი.

# ახალი ამბავი

—

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 25 მაისს, მუშტაიდში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ლატარია ალეგრია დანიშნული. ასეთს ლატარიას ხსენებული საზოგადოება ყოველ წელიწადს ჰმართავს და ყოველთვის მრავალი ხალხი ესწრობა ხოლმე. წელსაც ტფილისის საზოგადოება, იმედია, არ დაიშურებს ორიოდე გროშს და უეჭველად დაესწრება, მით უმეტეს, ამ ლატარიისათვის გამგეთ მრავალი სხვა-და-სხვა ნივთი შეუკრებიათ და, მაშასადამე, ამ მხრივაც დამსწრე საზოგადოება არ დარჩება ნაზარალევი. ყოველს ექვს გარეშეა, რომ ბევრი ქართველი მარტო იმიტომ დაესწრება ამ ლატარია ალეგრის, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ არის დანიშნული. ასეც უნდა იყოს, რადგან ქართველებს ეს ერთად-ერთი ხეირიანი დაწესებულება გვაქვს და სირცხვილი იქმნება, რომ ხელი არ შევუწყოთ და ნივთიერი დახმარება არ გავუწიოთ. იმედია ჩვენი საზოგადოება ამ საერთო საქმეში მაინც არ გამოიჩენს გულ-გრილობას და ლატარიაზე დასწრებით თითონაც ნასიამოვნები დარჩება და საზოგადო საქმესაც სარგებლობას მოუტანს.

⁂ გამოცხადებულია ახალი კანონმდებლობა სახელმწიფო ტყეების ზარალის მიმყენებელთა ჯარიმის გადახდევინების შესახებ. ვინც სახელმწიფო ტყეს ზარალს მიაყენებს, არა ნაკლებ ხუთი მანეთისა ჯარიმა დაედება მეტყევესაგან (ЛѢСНИЧІЙ). ხოლო ზარალი თუ ხუთ მანეთ აღემატება—სახელმწიფო მამულების გამგესაგან. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე არ დასთანხმდა ასეთს გადაწყვეტილებას, ორის კვირის შემდეგ სასამართლოში იქმნება მიცემული. თუ ერთმა და იმავე კაცმა სამჯერ ან მეტჯერ ჩაიდინა დანაშაულობა, ყოველ შემთხვევაში, პირველს გარდა, სასამართლოში იქმნება მიცემული. საქმე, რომლის გარჩევაც ადმინისტრატიულის წეს-რიგით არის დანიშნული, არას გზით არ გადაეცემა სასამართლოს, გინდაც დამნაშავეს ჯარიმის გადახდა არ შეეძლოს. კერძო მამულების საქმეები იმ შემთხვევაში გაირჩევა, თუ მემამულემ საჩივარი შეიტანა.

⁂ 15 მაისს სპარსეთის შაჰი მუზაფარ-ედინი თეირანიდგან თავრიზში მისულა. იქიდგან კავკასიაში მოვა და შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრება სამკურნალოდ. შაჰს თან ახლავს გარეშე საქმეთა მინისტრი მუშირ-დოვლე. ირანის მმართველობა დროებით მინდობილი აქვს მემკვიდრეს.

სპარსეთის ელჩი პეტერბურგში არფი-დოვლე მირზა-რიზა-ხანი 20 მაისს გამოსულა პეტერბურგიდგან, ამ დღეებში ბორჯომში ჩამოვა და შემდეგ შაჰს მიეგებება. (ახ. მიმოხ.)

⁂ ტფილისში არსდება ლოთობის წინააღმდეგი საზოგადოება, რომლის წესდება უმაღლესის მთავრობისაგან უკვე დამტკიცებულია. სასურველია, ხსენებულ საზოგადოებაში რაც შეიძლება მეტი წევრი ჩაეწეროს.

⁂ სპარსეთის ელჩად ტფილისში დანიშნულია ასარტიპ-მურტუსხან-მუმტას-ულგიულკი.

⁂ რადგან 16 მაისს დანიშნული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა საზოგადო წლიური კრება არ შესდგა წევრთა საკმარისის რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ იგი ხელ-მეორედ იქმნა დანიშნული 1 თიბათვისათვის, ისევ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, საღამოს 7-ს საათზედ.

⁂ იმ ორმოც-და-სამ დამნაშავეთა, საქმე, რომელთაც ბრალად ედებათ ქუთაისის ურიების წინააღმდეგ აჯანყება 1895 წ., დანიშნულია გასარჩევად ტფილისის სამოსამართლო პალატაში 31 მაისს.

⁂ სოფ. ბანოთი (ქუთაისის მაზრა). აღდგომის შემდეგ სიკვდილი გახშირდა ჩვენში, უკვე შვიდამდე ქალი და კაცი გარდაიცვალა და ავადმყოფი ხომ ეხლაც უთვალავია. უმეტეს ნაწილად ფილტვების ანთებით ჰხდებიან ავად და ხან ციებითაც. ჩვენი სოფელი საშინელი უსუფთაო და ბინძურია, ზოგან გავლაცკი არ შეიძლება, თხრილებში შეგუბებული წყალი საშინლად ჰყარს ⅆ იმათ ამოშრობას-კი არავინ ჰფიქრობს. კარგი იქმნება მამასახლისმა და სოფლის სხვა პატრონებმა მიაქციონ ყურადღება და ცოტად მაინც გააუმჯობესონ ჩვენის სოფლის სანიტარული მდგომარეობა.

⁂ სოფ. სუფსა. სუფსა პატარა სოფელია, მდებარეობს მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე. ეს მდინარე ძალიან დიდს შემწეობას უწევს მცხოვრებლებს. იმით მიაქვთ ფოთში ხეტყე, სიმინდი და ყველა სხვა და იქ ჰყიდიან. ჩვენი სოფელი ცოტად თუ ბევრად მოწყობილია: გვაქვს მღ. ჩხარტიშვილის მეცადინეობით ახლად შეკეთებული და გალამაზებული ეკკლესია, აფთიაქი ფერშლითურთ, აქვე სცხოვრობს ბოქაული; სუფსიდგან მიდის გზა-ტკეცილი ქ. ფოთში, რომელზედაც მრავალი ეტლი დაიარება და, მაშასადამე, ხალხს თავისუფლად შეუძლიან მიმოსვლა. ჩვენს სოფელში გამოდის რკინის წყალი, რომლითაც მრავალი ავად მყოფი სარგებლობს. გვაკლია მხოლოდ სამკითხველო. გურიაში ეხლა თითქმის ყველა სოფელში დააარსეს სამკითხველო და ამ მხრივ მარტო ჩვენა ვართ ჩამორჩენილნი. კარგი იქმნება, ჩვენშიაც გამოჩნდეს ვინმე მეთაური და მოჰკიდოს ხელი ამ ფრიად საკეთილო საქმეს. ჩვენკენ წელს ძალიან კარგი ამინდებია. ხალხი ყველაფრით კმაყოფილია, მხოლოდ უფულობით არის შეწუხებული. სიმინდს წელს სრულებით ფასი არა აქვს და ვისაც ცოტა რამ გასასყიდად ჰქონდა შენახული, დღესაც ისევ ისე უყრია.

⁂ სოფ. აჭარა (ლეჩხუმის მაზრა): ჩვენი სოფელი მეტად მივარდნილი და მიყრუებული ადგილია. ხალხი ბნელითაა მოცული და იოტის ოდენი განათლების სხივი ჯერ არსაიდგან მიჰკარებია. ან-კი რა გასაკვირველია! თითქოს ყველასაგან მივიწყებული ვართ, ჩვენთვის არავინა ჰზრუნავს და არავინ სცდილობს გაჭირვებული ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობას. სწორედ ამითი თუ აიხსნება თავ-აღებული გამეფება ზოგიერთ ვაჟბატონებისა, რომელთაც არავის შიში არა აქვთ და თავისუფლად ატყავებენ უვიცს გლეხ-კაცს. აი მაგალითიც. იმის მაგიერ, რომ სოფლის კანცელარიაში იყიდებოდეს საბაშვორთო ქაღალდები, სოფლის მამასახლისი აძლევს ერთს მედუქნეს კანონიერს მოწმობას, რომლის შემწეობითაც ეს უკანასკნელი ქუთაისის ხაზინაში ჰყიდულობს თითოს 85 კ. და შემდეგ თავისს დუქანში 150 კაპ. ჰყიდის. ნუ თუ ერთის ბილეთის მოტანა ქუთაისიდგან აჭარამდე 65 კაპ. ღირს, რომ ამოდენა ფულს ახდევინებენ საწყალს გლეხ-კაცს. ჩვენის სოფლიდგან თითქმის ყოველ წელიწადს აუარებელი ხალხი მიდის სამუშაოდ კახეთსა, ტფილისსა, ქუთაისში და სხვაგან და აბა თქვენ თითონ იფიქრეთ, სად შეუძლიან საწყალ გლეხ-კაცს მუდამ ამდენის ფულის გარდახდა. კარგი იქმნება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ.

⁂ დაბა ხაშური. 22 მაისს, ნაშუადღევის სამის ნახევარზედ, ამო-

ვარდა აქ საშინელი ქარიშხალი, რომელსაც თან მოჰყვა წვიმა და სეტყვა. წვიმა კოკისპირულად ასხამდა და ნახევარ საათზედ მეტს ხანს გასტანა. რკინის გზის სადგურის ბუფეტში კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა. მესამე კლასის ბუფეტში წვიმამ ჭერიდგან დაიწყო დენა და მთელი 20 წუთი არ შეწყვეტილა; ცოტა ხანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ჭერი ჩამოინგრეოდა და უთუოდ რაიმე უბედურება მოხდებოდა. საჭიროა რკინის გზის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და რაიმე ღონე იღონოს, რომ შემდეგშიაც არ განმეორდეს ასეთი არა სანატრელი ამბავი.

*** 23 მაისს პოლიციის მეცხრე ნაწილში, სამსახურ გარეშე მყოფმა პოდპორუჩიკმა გიორგი ნიკოლოზის ძემ აკერმანმა განაცხადა, რომ 22 მაისს, ღამე, როდესაც მეძინა ჩემს ფანჯარა გაღებულს ოთახში, რუსთაველის ქუჩაზე, კნ. ბარათოვის სახლებში, ვიღაცა ბოროტ მოქმედი შემოსულა საწოლში და მოუპარავს ტანისამოსი, 70 მან. ღირებული, საათი თავისის ძეწკვით — 35 მან, ვერცხლის საპაპიროსე — 25 მან, და ხავერდის სკამი 12 მან. აკერმანმა ეჭვი არავიზე არ განაცხადა. პოლიცია ზევრს ეცადა, მაგრამ ჯერ დამნაშავე არ აღმოუჩენია.

*** 23 მაისს, პოლიციის მეცხრე ნაწილში ბ-ნმა სანიტარო ექიმმა გედევანიშვილმა გასინჯა დუქნები და მიხეილის ქუჩაზედ, ალიხანოვის სახლებში, სტეპ გარმიგულოვის დუქანში აღმოაჩინა რამდენიმე გირვანქა გაფუჭებული ყველი. ბ-ნმა გედევანიშვილმა საქალაქო ლაბორატორიაში გაგზავნა გასასინჯად.

## შემოწირულება

კიდევ შემოსწირეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ლატარიისათვის:

კნ. ქეთევან იოსების ასულმა ბაგრატიონ-მუხრანსკისამ — ოთხი ყვავილების ვაზა, ერთი მშვენიერი შეუკერავი მოქსოვილი ბალიშის პირი, ერთი უბის წიგნი, ერთი სადარბაზო ბარათების დასალაგებელი და კიდევ ერთი შეკერილი მოქსოვილი ბალიში.

კნიაჟნა სოფიო ესტატეს ასულმა ბაგრატიონ-მუხრანსკისამ — ერთი სურათი ჩარჩოთი.

კნეინა სოფიო ვასილის ასულმა ამირაჯიბისამ — ოცი ნაჭერი ძვირფასი საგალანტერიო ნივთი.

დ. ზ. სარაჯიშვილმა — 20 ბოთლი ძვირფასი ლიკიორი.

ანტონ კარლის ძემ ლეგრანიშვილმა — 5 ნაჭერი საუზმის ჭურჭელი წმინდა ბაკარასი, ძვირფასი.

ი. კ. ელიოზოვმა — 1 შუშის საშაქრე, 1 სათუთუნე კურდელი, 1 კალმის გასაწმენდი, 1 საჩაიე, 1 კალმის ჩასაწყობი ჭიქა, 3 საფერფლე, 2 სურნელოვანი წყალი შუშა არაბის ახისა.

ნინა ივანეს ასულმა თაყაიშვილისამ — ერთი მშვენიერი ტუალეტის მოსართავი.

თავ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონმა — 20 ბოთლი, თითო მანეთიანი, თავისი ვენახის ღვინო.

მღ. გამდლიშვილმა — ერთი ძვირფასი ლამფა.

ელისაბედ ზურაბის ასულმა სტალინსკისამ — 18 სხვა-და-სხვა ნივთი.

ივანე ესტატეს ძე მჭედლიშვილმა — 5 კონცერტის ბილეთი, თითო 2 მანეთიანი.

საზოგადოება ყველას მადლობას უცხადებს.

ელისაბედ გრიგოლის ასულმა სიდამონოვ-ერისთავისამ — ერთი ბროლის კალათა და ერთი ფარანი.

მელანია გიორგის ასულმა წილოსანისამ — სამი ბროლის ძვირფასი ვაზა, 24 ბროლის დასაწყობი დანები და ერთი ფოდნოსი.

## წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა.

23 მაისს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება დაიწყო დილის 10 საათზედ და გასტანა ნაშუადღევის $4^3/_4$ საათამდე. განხილულ იქმნა მხოლოდ ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ კრებულის მიერ შემუშავებული პროექტი იმის შესახებ, რომ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა ნაცვლად წლიურს კრებაზედ მათნი წარმომადგენელნი იყვნენ ხოლმე მოწვეულნი. კარგა ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია ამავე საგნის შესახებმა პროექტმა, შედგენილმა ბ-ნ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მიერ, რომელიც უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად და რომელიც დიდად განსხვავდება ბანკის მმართველთა მიერ შედგენილ პროექტისაგან. პროექტი ბანკის გამგეობისა კრებამ ერთხმად შეიწყნარა და ამასთან ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულს კრებულს მიანდო, რომ მან მაშინ წარუდგინოს ეს პროექტი დასამტკიცებლად სამინისტროს, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს. შემდეგ კრება გადაიდო შაბათის, დილის 10 საათისათვის.

გუშინ, 24 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა წლიურმა კრებამ, დაამტკიცა რა ოქმი წინა კრებისა, მოისმინა მოხსენება გამგეობისა მთავრობის მიერ 1895 წელს მომხდარ რევიზიის შესახებ. ყოველი შენიშვნა რევიზორისა მუხლ-მუხლობრივ იქმნა განხილული. მთელი ეს მოხსენება ორად არის განაწილებული — ერთში ჩამოთვლილია ყოველი შენიშვნა ბ-ნის რევიზორისა ბანკის მმართველ ორგანოების მოქმედების შესახებ, ხოლო მეორეში ყოველი წინადადება როგორც რევიზორისა, აგრეთვე ბანკის გამგეობისა. ამ მოხსენების მუხლობრივ კითხვამ გასტანა დილის $10^1/_2$ საათიდგან ნაშუადღევის $4^1/_2$ საათამდე. ამ დროს განმავლობაში კრებამ განიხილა ბ-ნ რევიზორის 25 შენიშვნიდგან მხოლოდ 24.

შემდეგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 26 მაისს, დილის 10 საათისათვის.

## თიანეთის მაზრის ავ-კარგი

—

წარსულის წლების მოუსავლობით დაშინებული ხალხი გულის ცახცახით შესცქერის შუბლ-შეკრულს, მოქუშულს ცას. თუ თავისს დროზედ არ გამოიდარა და გაზაფხულმა ასე განვლო, წელსაც თიანეთის მაზრამ რიგიანი მოსავლის იმედი უნდა დაჰკარგოს. მაგრამ რომ გამოიდარებს, განა ხალხს თავისს სამუშაოზე გაასწრებენ? ნიაღვრებისაგან გაფუჭებული გზა-ხიდების შეკეთება ამავე გამოდარებას არ ელის? კიდევ არაფერია, ხალხისათვის თუ შიგ მაზრაში გაფუჭებული გზა გააკეთებინეს. ეს, ჯერ ერთი, თვით ხალხისათვის საჭიროა, ახლოც არის და არც თუ მაგრე რიგად დიდს ჯაფას და დროს მოითხოვს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ შარშან წინ დაწყებული და ამ ორის წლის განმავლობაში სწორედ სასოფლო მუშაობის დროს ხალხის მომცდენი თიანეთ-ანანურის გზა დღესაც ისევე დაუსრულებელი და შეუკეთებელია. მაგრამ რას ვამბობთ! დალოცვილს გზის გეგმის შემდგენთ და ამ გეგმის თანხმად გზის მიმართულების მიმცემთ სრულიად საჭიროდ არ უცვნიათ მცირედაც არის რიგიანად გზის მიმართულების ნიადაგის გაცნობა-გამოკვლევა, რის გამოც შარშანდელი ნამუშავარი წრევანდელ ზამთრის და ამ გაზაფხულის ნიაღვრების მეოხებით მთლად გაფუჭებულა, მრავალ ალაგას ჩამოშრილი მთებიდგან მიწის ზვავი წამოსულა და ვითომ გაკეთებული გზა კვლავ გასაკეთებელია თურმე.

ამისდა მიუხედავად, რაკი გამოიდარებს, უეჭველია ხალხს ამ გზის სამუშაოდ გაჰრეკავენ. სასოფლო მუშაობა? ამას ვინა კითხულობს; „სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირიო“, ხომ მოგეხსენებათ, და ხალხის ჭირ-ვარამზედ ფიქრი ეხლანდელს დროში მეტ ბარგად არის მიჩნეული. კიდევ კარგი, რომ ადგილობრივ მაინც არის მოღვაწე ხალხს მზრუნველი.

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ თიანეთის მაზრის უფროსს უთხოვნია ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ ანანურ-თიანეთის გზაზედ სამუშაოდ ხალხის გამოყვანა გადაიდოს შემოდგომამდეო, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ხალხი მოსავალს მოიმკის და შეიტანს, თორემ წარსულის წლების მოუსავლობისაგან გაწყალებული და ილაჯ-გამოლეული ხალხი ეხლაც რომ თავის დროზედ თავის ჭირნახულის მოვლა-შემუშავებას მოსცდეს, ხალხი მთლად მიწასთან გასწორდებაო. დიდის მადლობის ღირსია მაზრის უფროსი ამისათვის და იმედიცა გვაქვს, ბ-ნი გუბერნატორი შეიწყნარებს იმის თხოვნას. ხალხს ბეგარისაგან გაანთავისუფლებს და ამით შეძლებას მისცემს თავისს ნაშრომ-ნაამაგარის მოსავლის მოვლა-პატრონობას, თორემ ისეც გაწყალებული ხალხი უკიდურესს ყოფაში ჩავარდება, თუ ამა თუ იმ მიზეზით წელსაც მიწის მოსავალი თავისს დროზედ არ შეიმუშავა და ხელი არ შეუწყო.

—

შარშანდელის მოუსავლობის ერთი მიზეზთაგანი იყო გაზაფხულზედ დაუსრულებელი წვიმები. წელსაც გაზაფხული წვიმებით დაიწყო და სოფლის დედაკაცებმაც მიჰმართეს დიდებაზედ სიარულს. ამ დღე თითქმის ყველა სოფელში შეგხვდებათ დიდებაზე მოსიარულე ფეხშიშველა დედაკაცები. დადიან და მწყობრად მღერა-გალობით შესთხოვენ ღმერთს: „აღარ გვინდა ტალახი, ღმერთო მოგვე გორახიო“. ზოგიერთნი დიდებაზედ მოსიარულენი ხომ ავდრებისაგან აზვირთებულს ალაზანსაცკი აღარ შეუშინდნენ და სამი დედაკაცი შესწირეს: დიდებაზედ მოსიარულე სოფ. მატნელის დედაკაცები ბაბლო გორმაულაშვილი, სოფიო მამუკელაშვილი და პელა ექვთიმეშვილი დაარჩო მდ. ალაზანმა.

—

ალაზანმავე იმსხვერპლა ამ თვის 14-ს ს. მარელისის მცხოვრები ივანე ტუგუშვილი. ტუგუშვილს ურემი გაეტანა ალაზნის მეორე ნაპირზედ მომდგარ მცხვრის ფარის გასარეკად. ცხვრით დატვირთულ ურმიდგან შუა წყალში ერთი თხა გადმოვარდნოდა. ივანე თხას გამოეკიდა, მაგრამ წყალმა თვით ივანე ჩააგდო განსაცდელში. ნაპირიდგან ივანეს ცხენიანი კაცი შეეშველა, მაგრამ გვიანღა იყო. იმ ადგილას, სადაც ალაზანს მდინარე ილტო ერთვის, წყალმა ჩაითრია ივანე, ჩაიყურყუმელავა და დამრჩვალი იქვე მორი-ახლო გამოაგდო. ცხენიანი მეშველი მაშინ-ღა წამოეწია და დამღრჩვალი გვამი და გამოიტანა ნაპირას.

—

ამ რამდენისამე დღის წინად ს. ბოკონის მახლობელს მინდვრად თიანეთის მცხოვრებლების გუთანზედ უბედურება მოხდა. სამხრობისას, გუთნის შემობრუნების დროს, გუთნის პირველს უღელზედ მჯდომი თევდორე პატურაშვილი უცაბედად უღლიდგან გადმოვარდა, გუთნის პატარა თვალმა ზედ გადაუარა და იქვე სული აღმოხდა. საშინელება იყო უბედურის ცოლის და საწყალ წვრილ-შვილის ყოფა, როცა საღამოზედ მინდვრიდგან რამდენმამე მეხრემ მკვდარი მიიტანეს სახლში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ბ-ნის ვ. ვასილიევისა:

დამატებითი არჩევანები ქალაქის საბჭოს ხმოსანთა დანიშნულია 1 ივნისს. ეს დღე მეტად მოუხერხებელია არჩევანისთვის, რადგანაც ამ დღეს სულის წმიდის მოფენის დღეა და ამ დღესასწაულის გამო უმრავლესობას თვის მოვალეობად მიაჩნია ეკკლესიაში წავიდეს სალოცავად. ესევე სადღესასწაულო დღე დანიშნულ იყო არჩევანებისათვის 1893 წელსაც, თუმცა არ ვიცით-კი შემთხვევით მოხდა ესა თუ განგებ ასეთი დღე ამოარჩიეს. ასეთის დიდის დღესასწაულისა გამო 1893 წელს არჩევანს მეტად ცოტა მართლ-მადიდებელი დაესწრო. ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა არჩევანისათვის სხვა დღე დაინიშნოს, რომ ყველა ამომრჩეველს შეეძლოს არჩევანზედ დასწრება. მეტი არ იქმნება ეს გარემოება იქონიოს ჩვენმა ლორდ-მერმა (ე. ი. ბ-ნმა ივანენკომ), რომელიც თითონაც მართლ-მადიდებელი ქრისტიანეა.

## რუსეთი

—

— ფინანსთა სამინისტრომ მაისის გასულს უნდა განიხილოს საქმე შესახებ იმისა, რა შეღავათი შეიძლება დაწესდეს საზღვარ გარეთიდგან სამეურნეო მანქანების მოტანაზედ. ამ კრებისათვის სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტს მოუმზადებია მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებით არის აღნიშნული მთელი ისტორია სამეურნეო მანქანების გაკეთებისა, როგორც რუსეთში აგრეთვე საზღვარ-გარედ.

— მთავრობას გადაუდვია 200,000 მანათი სარწყავ არხების გასაკეთებლად სამხრეთის რუსეთსა და კავკასიაში. ამ ფულიდგან 59,000 მანათი გადადებულია მოხელეთა ჯამაგირებისათვის, 25,000 მანათი იმის გამოსაკვლევად, სად და როგორ უნდა გაკეთდეს არხი და 116,000 მანათი კიდევ არხების გასაკეთებლად.

— გამოცხადებულ იქმნა 1896 წლის ანგარიში მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1896 წელს სწავლობდა 153 სტუდენტი, ამათში 27 კაცს სხვა უმაღლესს სასწავლებელში ჰქონია სწავლა დამთავრებული.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთ-საბერძნეთის ზავი.** ომი კარგა ხანია მოისპო, ხოლო ზავის პირობების შეკვრა ორ მეომარ სახელმწიფოთა შორის ჯერ არ მომხდარა და ძნელია სთქვას კაცმა, მალე მოხდება, თუ არა. საქმე იმაშია, რომ ევროპის დიპლომატები, რომელთაც მინდობილი აქვთ ზავის პირობების გამორკვევა, ორ წყალს შუა არიან და არ იციან, ისე როგორ გადაწყვიტონ საქმე, რომ ესრედ წოდებული „ევროპის კონცერტი“ კონცერტადვე დარჩეს და შემდეგში აღმოსავლეთის სახელმწიფოთ მეტი სადავიდარაბო და თავში-საცემი არ გაუჩინოს. ერთის მხრით ოსმალეთი, როგორც გამარჯვებული სახელმწიფო, თავისას არ იშლის და გაიძახის, თესალია მე მეკუთვნის და მე უნდა მომეცესო, მეორეს — საბერძნეთი, მართალია დამარცხებული სახელმწიფოა, მაგრამ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ საუკეთესო კუთხე გამოჰგლიჯონ და ოსმალეთს გადასცენ. აი სწორედ ესაა დიპლომატების საკითხი და ამ შემთხვევაში არ იციან როგორ მოიქცნენ. მართალია ევროპის სახელმწიფოთ შეუძლიანთ ოსმალეთის და საბერძნეთის დაუკითხავად გაათავონ საქმე და ან ერთი დააკმაყოფილონ ან მეორე, მაგრამ ორსავე შემთხვევას შეიძლება ისეთი შედეგები მოჰყვეს, რომ ევროპის მშვიდობიანობა დაარღვიოს და ომიც კი გამოიწვიოს. რაც შეეხება ოსმალეთს, მართალია თვით სულთანი მშვიდობის მოყვარე და მშიშარა კაცია და ევროპის გადაწყვეტილებას წინ ვერ გადაუდგება, მაგრამ ქვეშევრდომნი არ დაჰყაბულდებიან და შეიძლება აჯანყებაც მოახდინონ. ამ აჯანყებას შეიძლება ქრისტიანეთა აჯანყება მოჰყვეს და მაშინ ევროპას ერთი ორად უფრო გაუჭირდება საქმე. არც საბერძნეთი იქნება წყნარად იმ შემთხვევაში, თუ თესალია წაართვეს და ოსმალეთს გადასცეს. უიმისოდაც აღელვებული ხალხი, უეჭველად რევოლიუციას მოახდენს და განდევნის მეფეს. აქაც ევროპამ უნდა იზრუნოს და როგორმე დაამშვიდოს საბერძნეთი. ერთი სიტყვით დიპლომატები ისე უნდა მოიქცნენ, რომ არც მწვადი დასწვან და არც შამფური.

—

**საბერძნეთი.** „gaulois“-ში დაბეჭდილია წერილი ათინიდგან, რომელშიაც კორესპონდენტი ამბობს, საბერძნეთს ევროპის მომდურებისა რომ არ ეშინოდეს, რევოლიუციას მოახ-

დენდა და შეიძლება მოახდინოს კიდეც, ჯარი როცა დაბრუნდება ათინაშიო.

რალის სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას და არც-კი ცდილობს ხალხი დააწყნაროსო. ამიტომ მომხრეები ურჩევენ მეფეს ათინაში სამხედრო გენერალ-გუბერნატორი დანიშნეო და აქვე ახლო 7,000 ან 8000 ჯარი იყოლიეო.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

12 მაისი.

როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ბევრი სისხლი უნდა დაიღვაროს ამ გაუმაძღარ დედამიწის ზურგზედ, სანამ აღმოსავლეთის საქმე ასე თუ ისე გადაწყდებოდეს. ეხლა კიდევ უფრო უარესად აირია საქმეები, ვიდრე ოდესმე იყო. ოსმალეთის გამარჯვებამ სრულიად შესცვალა ევროპის გეგმა და საქმე ეხლა ის გახლავთ, ვინ უნდა დაამშვიდოს გათამამებული ოსმალეთი. ნელ-ნელა მიჩოჩავს მოქმედების ასპარეზზედ მძლავრი რუსეთი და მშვიდობიანობის ჩამოგდებას ისევ რუსეთიდგან უნდა მოველოდდეთო, გაიძახიან აქ. მართლაცდა, რუსეთის გარდა სხვა სახელმწიფოებს აქ არავითარი პოლიტიკური გავლენა აღარა აქვთ. სულ ტყუილი ყოფილა ეკონომიური წარმატება: თავისუფლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეკონომიური პოლიტიკა ევროპის ხელშია, თითქმის ყველა შემოსავლიანი ადგილები ევროპიელებს უჭირავთ, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ გავლენას, ეს იმის ხელშია, ვისაც არავითარი ეკონომიური ინტერესი არა აქვს. სულთანი და მისი მთავრობა მარტო რუსეთსა და გერმანიას ერიდება, დანარჩენი სახელმწიფოები-კი მისთვის სრულიად საშიში არ არის, რადგან კარგად იცის, რომ დანარჩენ სახელმწიფოთ ისეც დიდი სარგებლობა აქვთ ოსმალეთიდგან.

თუ ოსმალეთი გერმანიასთან და მეტადრე რუსეთთან კარგად იქმნება, ეს საკმარისია მისთვის. ევროპის სახელმწიფოთა უთანხმოებას კარგადა ჰხედავს, ოსმალეთის მთავრობამ ძლიერ კარგად შეისწავლა თავისის მდგომარეობის ავ-კარგი და გარემოებაც ხელს უწყობს, რაც შეიძლება მეტად არიოს მღვრიე ტბა, რომ, ბევრი თუ არა, ცოტა დრო მაინც მოიგოს. ამასობაში ხომ შეიძლება საყოველთაო ომი ასტყდეს და მაშინ ის არავითარს მონაწილეობას არ მიიღებს, განკერძოებასა ჰლამის და თუ ოდესმე ბედმა გაუღიმა, ოპორტიუნისტობასაც დაიჩემებს. ვინ იცის, ვინ ვის მოერევაო, ჰფიქრობს ოსმალეთი. რაც ერთხელ დაწერილა, ის უნდა მოხდეს, თუ დასაღუპავი ვართ, მაიც არა გვიშველის-რა, საკმარისია წაღმა-უკუღმა „ჰო“ ვიძახოთ, უარს ნურავის ვეტყვით და საქმე თავისს თავად გასწორდებაო. ამ აზრისანი არიან ყველა ოსმალნი. ასე ჰფიქრობდნენ სომხების არეულობის დროს, კრიტის ამბოხების დროს და ეხლაც ასე ჰფიქრობენ.

დღეს, როცა ზავის ჩამოგდების შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი და ევროპის პირობანი წარუდგინეს, განცვიფრდა: „როგორ თუ ომით დაპყრობილი ადგილები დავტოვო და ზარალის ნახევარიც არ ავიღოო, მაშინ ხომ ჩვენის გამარჯვებით წაქეზებული ნახევარ-მთვარის მონები აგვიჯანყდნენ, ჩვენი რა ბრალია, რომ ბერძნებმა ომი ასტეხესო“. ოსმალების აზრით, ეს დიდი უსამართლობა და უსინიდისობა იქნება, თუ ევროპამ ოსმალეთი თავისს კალაპოტში ჩასვა ისევ და თუ გამარჯვების ნაყოფი არ აგემა. ევროპა და მისნი წარმომადგენელნი-კი სულ სხვას გაიძახიან. ომის დაწყების მიზეზს ოსმალეთს სდებენ ბრალად, ბერძნების დამარცხებას არა ჰყაბულობენ, რადგან ეს დამარცხება სრული არ არის, რაკი ზღვაზედ ომის ნება არ მისცა ევროპამ საბერძნეთს. ყოველ შემთხვევაში ომი ასტეხა კრიტის საქმემ. ოსმალეთს რომ ავტონომია მიეცა, ბერძნებს მიზეზი არ ექნებოდათ ომის დაწყებისა და რამდენისამე წლით მაინც შეჩერდებოდა საშინელი და უბრალოთა სისხლის ღვრა. მაგრამ არა, ოსმალეთი თავისს ბედის-წერას არ გადუხვევს, ჯერ კიდევ მტკიცედ სწამს შუბლზედ წარწერილ იღბლის სიმართლე.

ახლა ევროპამ გაახსენა ოსმალეთს ყველა გადაწყვეტილების დაპირების მნიშვნელობა, გაახსენა ისიც, რომ თითონ გახდა ამის მიზეზი, გაახსენა, რომ პირობა ასეთი იყო, რომელ მხარესაც უნდა მოეგო, სარგებლობას ვერა ნახავდა. თუმცა ბერძნებმა ომი წააგეს ხმელეთზედ, მაგრამ გაბედულად და რიგიანად ომობდნენო, არც იმდენად დაზარალდნენ, რომ სრულიად დამარცხებულად ჩავთვალოთ იგი. საბერძნეთი დამარცხებას ევროპას აბრალებს, რადგან ზღვაზედ ომის ნება არ მისცეს და ამით ოსმალეთს საშუალება მიეცა მთელი თავისი ძალა ხმელეთზედ დაემარაგებინაო. მართლაც, ბერძნების ფლოტს რომ მოქმედების ნება ჰქონოდა, დიდს ზიანს მისცემდა ყველა ოსმალეთის ნავთ-სადგურებს, კუნძულებს და ზღვის სანაპიროებს და ოსმალეთსაც ერთი ათად მეტი ჯარი და ხარჯი დასჭირდებოდა. თესალიის საზღვრებზედ ოსმალეთი ამდენს ჯარს ვერ გაიყვანდა და ბერძნები მაშინ აღარ იქნებოდნენ დაძლეულნი. აი, ამ მოსაზრებით ევროპა დღეს ოსმალეთს თითქმის უარს ეუბნება კონტრიბუციასა და საზღვრების გაფართოებაზედ.

იზეტ-ბეგის გამჭრიახმა თვალებმა წინადვე დაინახა ყველაფერი და ამისათვის იყო, რომ სასტიკად ეპყრობოდა ომის ატეხის მოსურნეთ. სულთანი და იზეტ-ბეგი თავიდგანვე უარს იყვნენ ომის დაწყებას. რაც გვიწერია, ის გადაგვხდებაო, გაიძახიან ოსმალები: ჩვენი ბედი კაი ხანია გადაწყვეტილი აქვს ევროპასაო. წინაღმდეგებს სიკვდილიო, გაიძახიან მაინც. მარტო სულთანი, იზეტ-ბეგი, ოსმან-ფაშა და ერთი ორი კიდევ სხვა არ არის ამ აზრისა და დანარჩენებს-კი ყველაფერი ფეხებზედ ჰკიდიათ.

ყოველ დღე ხმები ვრცელდება, რომ ბერძნების ჯერი მოვიდაო. ყველა მართლ-მორწმუნე გაჯავრებულია ბერძნებზედ. ყოველსავე მართებულსა და უმართებულოს აბრალებენ ბერძნებს. იმათ კრიტში ჩვენი ქალები და ბაღანები დაჰხოცეს და ჩვენც სამაგიერო უნდა გადავუხადოთო. მართლაც საშინელება იქნება, თუ კიდევ იჩინა თავი თავ-კომბალა ჯოხმა, რომელმაც ბევრი სომხის თავი დაჩეჩქვა და ეხლა კიდევ მეტი დაიჩეჩქვება, რადგან თუ არეულობა მოხდა, საერთოდ ყველა იმ ქრისტიანების წინააღმდეგ მოხდება, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლად არიან ოსმალეთში. ადვილად ვერ დაიმორჩილებს მაშინ მთავრობა თითქმის ნახევარ მილიონ ხალხსა. ამ აზრისაა თითქმის ყველა შეგნებული ევროპიელი: თუ შერიგება მოხდა, სთქვა ერთმა საფრანგეთის მისიის უფროსმა, ოსმალეთმა უეჭველად ხელი უნდა აიღოს თავისს საოცნებო მოთხოვნილებაზე. კონტრიბუცია, რომელსაც ოსმალეთი თხოულობს, ე. ი. 6 მილიონ ლირს, მეტად ბევრია, ოსმალებს ამ ომში 2 მილიონი ხარჯი ძლივს მოუვიდათო. ოსმალეთს დაპყრობილს ადგილებს არავინ დაანებებს, რადგან ევროპამ დიდი ხანია გადასწყვიტა ნება აღარ მისცეს ოსმალეთს საზღვრების გაფართოვებისაო.

— ეს განა სამართალია, რომ ასე ეპყრობიან ოსმალეთს-მეთქი, ვკითხე ერთსა.

— უნდა იცოდეთ, რომ დღეს მთელის ქვეყნის წინ-სვლა, ეკონომიურ წარმატებაზედ არის დამყარებული, მიპასუხა. ევროპის ყველა მექარხნე, ბანკის პატრონი ვაჭარი თავისს საქონელს იმას ანდობს, ვისგანაც იმედი აქვს, რომ მისი საქონელი მოგებასა და სარგებლიან წარმოებაში იქნება და არა დასაფანტად და შესაყლაპად. ოსმალებმა-კი ფანტვისა და ყლაპვის მეტი არა იცისრა და ამან-კი თავისი დრო-ჟამი მოჭამაო. ოსმალეთმა უსათუოდ ცვლილებანი უნდა შემოიღოს, თუ არადა, ცუდი ბედი მოელისო.

საბერძნეთის საზღვრებიდგან ჯერ კიდევ არა სასიამოვნო ამბები მოდის, საცა თეთრ დროშიან ოსმალებს მოახელებენ, ჰხოცავენ. ეს გარემოება საშინლად აღელვებს ოსმალებს და დღითი-დღე კიდევ უფრო ემზადებიან. ეხლა კიდევ გამოიცა ბრძანება, რომ ათი დივიზია მოგროვდეს ახალის რედიფის ჯარისა, რომელიც უნდა გაიგზავნოს ბოლგარიის საზღვრებზედ და მაკედონიაში, რადგან ბოლგარიასა და ოსმალეთს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ოსმალეთის მთავრობამ თავისი ნამდვილი და ვითომ მტკიცე დაპირება ბოლგარელებს ჯერაც არ აუსრულა საქმით. ბერათები ჯერ კიდევ არ მიუცია სულთანს ბოლგარებისათვის, თუმცა ეპისკოპოსები უკვე დანიშნულ და შეწყნარებულ იქმნენ. რა-კი ბერათების დამტკიცებამა და გადაცემამ ასე დაიგვიანა, ბოლგარიის მთავრობამ თავისი წარმომადგენლის პირით უკანასკნელი პასუხი მოსთხოვა სულთანს, და როცა უკანასკნელს დაპირებით უნდოდა მოეშორებინა თავიდგან, როგორც საზოგადოდ იშორებს ყველას, მაშინ ბოლგარიის აგენტმა პირდაპირ უთხრა, — თქვენ დაპირებას ვეღარ ვენდობით, ან ბერათები მოგვეცით და ან უარი გვითხარითო. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულ ვიქნები ოსმალეთი დავტოვო, რადგან ასე მაქვს ნაბრძანებიო. ვერც ამ სიტყვამ გასჭრა, ბერათები ჯერ კიდევ სულთანის ხელშია. ბოლგარია-კი საომრად ემზადება, ოსმალეთიც ჯარს აგროვებს.

ქარმა ისევ დაჰბერა ქვეყნის გასანადგურებლად და ეხლა უფრო ძლიერადაც, ვიდრე აქამდის ჰქროდა. ბოლგარიას შეუძლიან 250 ათასი კარგად გაწვრთნილი ჯარი გამოიყვანოს ოსმალეთის წინააღმდეგ. მაკედონიის მცხოვრებლებიც უმეტესად ბოლგარელნი არიან, რასაკვირველია, ამბოხებას მოახდენენ და ეს ხომ საურთიერთო ომს გამოიწვევს. არა გვგონია, მოღალულმა ოსმალეთის ჯარმა ბოლგარიის მძლავრსა და ღონიერს ჯარს გაუძლოს. თუ ბერძნის პატარა ჯარის-კაცებმა ის ეპირობა გასწიეს, რომ ოსმალეთს 50,000 ჯარის-კაცი მოუკლეს, ბოლგარები ხომ უფრო მეტს გმირობას გამოიჩენენ, რადგან თუ ერთს ბერძენს ერთი ტყვია ეყოფა, ბოლგარელს მთიელს ოთხიც ვერ წააქცევს.

ოსმალები ყოველს ღონისძიებას, ჰხმარობდნენ კონგრესი მორიგებისა ბერლინში მომხდარიყო, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ძლიერ დაფიქრდნენ, რადგან ბერლინში, იმედი ჰქონდათ, კარგად მოაწყობდნენ თავიანთს საქმეს. თოთხმეტი დღე უნდა ელოდნენ ოსმალები და თუ უარი გვითხრეს და ჩვენი სურვილი უარ-ჰყვეს, მაშინ ერთხელ კიდევ და უკანასკნელად ვცდით კიდევ ბედსაო.

ისე რაჭველი

## სასამართლოს მატიანე

—

23 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა ორი საქმე ბაქოში ნავთიან სახელმწიფო ადგილების დასაკუთრებისა. ამ ადგილების მიმთვისებელთა ვექილი ბ-ნი შანი ძლიერა სცდილობდა, რომ ეს საქმეები გადადებულიყო. ერთი საქმე მაინც გადასდეს და არ გაარჩიეს, რადგანაც ერთი მოპასუხე ქ-ნი ავონ იუზბაშოვისა გარდაიცვალა. ხოლო მეორე საქმე-კი გაარჩია სამოსამართლო პალატამ. მოპასუხე კამენსკაიაც, მართალია, გარდაცვლილია, მაგრამ სამოსამართლო პალატამ საქმის გასარჩევად მოიწვია მისნი მემკვიდრენი — და მათის დასწრებით გაარჩია საქმე და გადასწყვიტა, ძალით მითვისებული და დასაკუთრებული ადგილები დაუბრუნდეს ხაზინას.

## ნაწყვეტი

—

დღეს, ქართველნო, ფუტკრად ვიქცნეთ,
ძუძუთაც თან წავიყვანოთ,
საერთო საქმის გეჯაში
ყველამ ღალა შევიტანოთ,
რომ იმ ღალით მოძმე ხალხში
სწავლის სხივნი გავიყვანოთ
და სიბნელით ქვე-მავალნი
ნათლით ზეცას ავიყვანოთ!..

დ. მაჩხანელი

## ნაკვესი

—

ერთს საზოგადოებაში სისულელეზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ცნობილი მწერალი სტერნი საშინლად გაცხარდა და სთქვა:

— ჩემის აზრით, თუ ვინმემ სისულელე სთქვა, სახეში უნდა სცემოს ადამიანმა; ხოლო თუ სისულელე დასწერა, თავისის საკუთარ სახლის კარებზედ უნდა იქმნას ჩამორჩობილი...

— იმედი მაქვს, ბ-ნო სტერნ, რომ თქვენ დაქირავებულს სახლში სცხოვრობთო? ენა-კვიმატად შენიშნა არტისტმა ჭარრიკმა.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორა სწერენ ინგლისელი მწერლები რომანებს? ინგლისის ერთმა ჟურნალმა მიჰმართა ინგლისისავე ეხლანდელ გამოჩენილ მწერლებს და სთხოვა, შეგვატყობინეთ, როგორა სწერთ თქვენ თხზულებებსაო. ზოგმა მწერალმა ხუმრობით უპასუხა ჟურნალს, ზოგმა-კი ვრცელი პასუხი მისცა.

ვ. ლ. ალდენმა მისწერა ჟურნალს: „უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვერაფერი მუშაკი გახლავართ. უფრო დიდ ხანს მე ველოსიპედით სიარულს ვუნდები. მიუხედავად ამისა მაინც ვახერხებ ხოლმე დღეში ერთი საათი შევსწირო საწერს მანქანას და ისეთის სისწრაფითა ვმუშაობ, რომ საათში 1,800 სიტყვასა ვსწერ... ძლიერ იშვიათი დღე უნდა შემხვდეს, რომ ერთს დღეში 4,000 სიტყვა დავსწეროˮ

რობერტ ბასრი სწერს: „თუ იმიტომა მკითხავთ, როგორა ჰმუშაობო, რომ ახალგაზდა მწერლებმა მომბაძონ მე, ძლიერ შემცდარხართ, რადგანაც მე კარგ მაგალითად ვერ გამოვდგები. მე არც წესი რამ მაქვს მუშაობისა, არც დანიშნული დრო და არც გარდაწყვეტილი, რამდენი სიტყვა უნდა დავსწერო საათში. როგორმე რომ მომეხერხებინა და დღეში 1,000 სიტყვა მაინც მეწერა, ძლიერ გავმდიდრდებოდი. მაგრამ ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ ერთ დღეს 4,000 სიტყვას დავსწერ ხოლმე. სამწუხაროდ ისეთი დღე სწორედ მაშინ გამოტყვრება ხოლმე, როდესაც არც თუ ისე მიპირს წერა და არც მეჩქარება. მაგრამ, თუ გამომცემელი მელოდება და მაჩქარებს, მალე დასწერეო, მაშინ სულ ვერაფერს გავაკეთებ, ერთს სტრიქონსაც ვერ დავსწერ ხოლმე. გამომცემელთან რომ პირობას დავსწერ, უსათუოდ უნდა ავიღო ველოსიპედი და წავიდე სადმე. უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე მოვალეობა ესა და ეს უნდა დასწეროო, ძლიერ მეჯავრება და ღმერთმანი მიკვირს კიდეც, რად იჭერენ ხოლმე საქმეს ჩემთან გამომცემლები და პირობას რად მიწერენ. ამ ორის წლის წინად ჩემის უღმერთო საქციელით კინაღამ საიქიოს გავისტუმრე ერთი პატივცემული გამომცემელი. ცხრა მოთხრობა მქონდა დაწერილი და გამომცემელი შემეკრა პირობით, რომლის ძალითაც კიდევ ცხრა მოთხრობა უნდა დამეწერა, რომ მთელი წიგნი შემდგარიყო. პირობას ორივემ მოვაწერეთ ხელი და ფულიც მივიღე. ამ გვარად კისრად დამედო მოვალეობა, უსათუოდ დანიშნულ ვადამდე დამეწერა დანარჩენი ცხრა მოთხრობაც. თუმცა ეს ჩემთვის არც ისე ძნელი საქმე იყო, რადგანაც შინაარსი ამ მოთხრობისა კიდევაც მოფიქრებული მქონდა, მაგრამ კალამს ხელი ვეღარ მოვკიდე და გავიქეცი სხვა ქვეყნებში. უბედური გამომცემელი (ღმერთს გეფიცებით, ძლიერ მებრალებოდა, თუმცა ჩემს სიბრალულში ვერას გზით ვერ დავარწმუნე) ათასობითა მწერდა წერილებს ისპანიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც მე დავეხეტებოდი, არ ვიცი კია, რათა და რისთვის. გამომცემელი ჯერ ხვეწნისა და მუდარის წერილებსა მწერდა, მაფიცებდა პატიოსნებასა და სხვა ამ გვარ ღირსებას (ალბად ეგონა, რომ ეს თვისებანი მოიპოვება ჩემს გულში), მერე მუქარა დამიწყო, მაგრამ ვერც ამით გახდა ვერაფერს. ბოლოს, მოთმინება გამოლეულმა გამომცემელმა მომწერა (ამ დროს ირლანდიაში ვიყავი): „მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ შორის შეკრული პირობა უკვე გავაუქმე და კარგად უნდა იცოდეთ, რომ ამიერიდგან, მე თქვენ აღარ გიცნობთ, თუ ვინიცობაა, სადმე შემხვდითო. მე ვუპასუხე, რადგანაც სრული იმედი მაქვს, რომ მე სამოთხეს ვეღირსები, ამიტომ დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ვერც საქაოს შევხვდებით ერთმანერთსა და ვერც საიქიოს“.

ამ გვარად მოვალე აღარ ვიყავი ის ცხრა მოთხრობა დამეწერა და სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ ჩემ მიერ დაპირებულის 19 მოთხრობის მაგიერ სწორედ ოცი მოთხრობა დავწერე. ამბობენ, სახრჩობელაზედ

სვლის დროს ავაზაკები სხვებს ურჩევენ ხოლმე, კეთილად იცხოვრეთ და ბოროტ-მოქმედებას ერიდეთო. მეც ჩემის მხრით ვურჩევ ყველა მწერალს, მე ნუ მომბაძავს და გულ-მოდგინეთ იმუშაოს, დღეში 6,000 სიტყვა მაინცა სწეროს.

სხვა მწერალთა შორის, ალლენ უპვარდის აზრი მეტად საყურადღებოა. როცა მოთხრობა მაქვს დასაწერი, მთელ თვეობით ვიტანჯებიო, ამბობს უპვარდი. ათასჯერ მაინც დავიწყობ ხოლმე წერას და იმ წამსვე დავხევ ყველაფერს, რადგანაც მე თითონ არ მომწონს. ამ დროს ჩხუბი მომდის ხოლმე ჩემს კარგ მეგობრებთან, ვწყევლი გამომცემელს, ვჯავრობ, ვიტანჯები. ბოლოს, გულმოსული ჩავუჯდები საქმეს, მთელ 5—6 ღამეს ვმუშაობ დილის 5 საათამდე და მოთხრობას ვათავებ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

24 მაისი

**პეტერბურგი.** ელისავეტპოლის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ნაკაშიძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისავე თხოვნით, ავადმყოფობისა გამო. სამსახურს გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი კირეევი დანიშნულ იქმნა ელისავეტპოლის გუბერნატორად.

**პარიჟი.** „ჰვასის სააგენტო“ იუწყება, რომ პრეზიდენტის ფარის წამოსვლა რუსეთში გადაწყვეტილია. პრეზიდენტი წამოვა 13 ივლისს და იახლებს ჰანოტოს. პრეზიდენტი ზღვით წამოვა.

**კანეა.** ცნობილ მეამბოხეთა სარდალმა ჰაჯი მიხეილმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს რადგანაც საბერძნეთის ჯარები გავიდნენ, ამის გამო ვკისრულობ ამ ქვეყნის გამგეობასო და დავნიშნავ ამორჩევას ნაციონალურ კრებაში იმავე პროკლამაციაში ჰაჯი მიხეილი ურჩევს ქრისტიანეთ, რომ მაჰმადიანთა საცხოვრებელს ნუ განადგურებთო. მეამბოხეთ ეტყობათ, რომ შერიგების გზას დასდგომიან,

**კონსტანტინეპოლი.** ელჩების მოლაპარაკებაზე თვით-მმართველობის შემოღების შესახებ კრიში, საფრანგეთის წარმომადგენელის წინადადების განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ამ საგნის შესახებ შეთანხმება შესაძლებელი იქმნება. ხოლო იმის გარჩევის დროს თუ რა გვარი თვით-მმართველობის პროექტი უნდა იქმნას შემოღებული, იტალიის ელჩმა წარმოსთქვა: უმჯობესი იქმნება, რომ კრიტის საქმეები განვიხილოთ ოსმალეთს და საბერძეთ შორის ზავის ჩამოგდების შემდეგ.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“ ათინიდგან იუწყება, რომ ოსმალნი თანახმანი არიან დროებით მშვიდობიანობა განაგრძონ, იმ პირობით, თუ საბერძნეთის ნავთ-სადგურებში დაუბრკოლებლივ შესვლის ნება ექმნებათ ყველა იმ გემებს, რომელთაც ოსმალეთის ან სხვა ნეიტრალ სახელმწიფოთა დროშა ექმნებათ აღმართული. მინისტრთა საბჭო არჩევს ამ კითხვას, რომელზედაც დამოკიდებულია დროებით მშვიდობიანობის განგრძობა.

ლიუცოვს გარდაუწყვიტეს, როგორც დამატებითი სასჯელი, ორი თვით ციხეში დაპატიმრება.

**ლონდონი.** მარკიზი სალიუსბიური წერილში, რომელიც გაუგზავნა პარლამენტის იმ წევრთ, რომელთაც ომის დაწყებამდე თანაგრძნობის წერილი გაუგზავნეს საბერძნეთის მთავრობას, აცხადებს, რომ ეს იტორია ფრიად სამწუხაროაო და შედეგი ამ საქციელისა დიდხანს სამძიმო იქმნება საბერძნეთის ერის ბედისთვისაო.

**ბერლინი.** განაჩენი ტაუშეს საქმისა: ტაუშე გამართლებულ იქმნა;

# განცხადებანი

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მე-44 ტირაჟში, რომელიც იყო 8 მაისს 1897 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის 6% და 5% გირავნობის ფურცელთა.

1. გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრამდე 1881 წლ. (1874 წ. 28 მაისის წესდების ძალით--არა ურთიერთის თავდებობით).

6% გირავნობის ფურცელნი.

100 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

2 სერ. № 153.
3 სერ. №№ 12, 25, 30, 133, 141, 158, 178, 190.

43 წლითა და 6 თვით.

9 სერ. №№ 56, 159, 167, 286.

54 წლითა და 6 თვით.

3 სერ. №№ 26, 52.

500 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

2 სერ. №№ 12, 36.
3 სერ, №№ 106, 109, 110, 119, 122, 123, 127, 155.

43 წლითა და 6 თვით.

9 სერ. №№ 1, 61.

54 წლითა 6 თვით.

4 სერ. №№ 1, 6, 31.

1000 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

4 სერ. № 23.
10 სერ. № 39.

6% გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1881 წლ. 1 იანვრიდამ (1881 წლის 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

100 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

1 სერ. №№ 24, 31, 42, 49, 78, 85, 86, 88, 120, 131, 166, 199, 205, 206.
2 სერ. № 108.
3 სერ. №№ 21, 119.
9 სერ. №№ 1, 19, 61.
11 სერ. №№ 19, 27, 47.
19 სერ. № 322.
20 სერ. №№ 261, 268.
21 სერ. №№ 34, 89, 100.

43 წლითა და 6 თვით

3 სერ. №№ 1, 30.
4 სერ. №№ 3, 17, 46, 48, 49.
5 სერ. № 141.
7 სერ. №№ 5, 15, 67.

500 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

2 სერ. №№ 38, 68, 82, 107, 113, 132.
9 სერ. № 2.
11 სერ. № 30.
19 სერ. № 259.
20 სერ. № 119.
21 სერ. № 68.

43 წლითა და 6 თვით.

2 სერ. № 22.
5 სერ. № 25.
7 სერ. №№ 11, 20, 21, 24.
8 სერ. №№ 30, 57.
14 სერ. № 10.

1000 მან. ღირ.

27 წლითა და 6 თვით.

2 სერ. №№ 20, 276, 319, 660.
3 სერ. № 146.
4 სერ. № 66.
6 სერ. № 24.
7 სერ. № 331.
9 სერ. №№ 21, 56, 66, 73.
11 სერ. №№ 63, 64, 73, 75, 85, 98, 101, 125, 135, 156, 209, 229, 271.
15 სერ. № 213.
17 სერ. №№ 79, 392, 466.
19 სერ. №№ 87, 123, 188, 281, 328. 436, 470, 509, 519.
20 სერ №№ 32, 38, 39, 50, 64, 71, 93, 100, 107, 108, 110, 119, 147, 159, 191, 220, 238, 244, 262, 278, 283, 322.
21 სერ. №№ 17, 65, 269, 274.

43 წლითა და 6 თვით.

4 სერ. № 54.
5 სერ. №№ 25, 76, 97, 116, 120, 122.
7 სერ. №№ 7, 10, 15, 17, 18, 25, 26, 28, 36, 46, 48, 52, 61, 62, 63, 69, 75, 77, 81, 91, 95, 97, 98, 99, 101, 124, 125.
14 სერ. № 27.
16 სერ. № 23.
18 სერ. №№ 16, 32, 35, 41, 65, 79, 89, 90, 92, 104.

5% გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1891 წლის 1 ივლისიდამ (1881 წლის 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

100 მან. ღირებულობისა

36 წლითა და 4 თვით.

1 სერ. №№ 301, 523, 1487, 2063.

61 წლითა და 8 თვით.

1 სერ. № 1022.

48 წლითა და 8 თვით.

1 სერ. №№ 704, 717, 730.

29 წლითა და 9 თვით.

1 სერ. №№ 11, 22, 60.

უვადონი.

№№ 2471, 4905, 5527.

500 მან. ღირ.

48 წლითა და 8 თვით.

1 სერ. № 241.

უვადონი.

№№ 175, 501, 889 1356, 2612, 3015, 3016, 3189, 3970, 4062, 4115.

1000 მან. ღირ.

36 წლით და 4 თვით.

1 სერ. №№ 90, 180, 219, 281, 470, 535, 658, 806.

48 წლით და 8 თვით.

1 სერ. № 311.

უვადონი.

№№ 243, 415, 492, 554, 597, 598, 627, 732, 1154, 1160, 1409, 1410, 1511, 1512, 1513, 1514, 1617, 1913, 2031, 2424, 2496, 2497, 2553, 2773, 2776, 2898, 2901, 2956, 2962, 2986, 2992, 3069, 3070, 3076, 3274, 3372, 3425, 3426, 3427, 3703, 3744, 3766, 3878, 3880, 4234, 4385, 4450, 4481, 4521, 4903, 4962, 4963, 5028, 5029, 5030, 5188, 5343, 5405, 5629, 5997, 6981, 6982, 6984, 7084, 7238, 7239, 7243, 7306, 7360, 7760, 8200, 8377, 8723, 8745, 8756, 9092, 9787, 9789, 10237, 10443, 10663, 10948, 10950, 11008, 11130, 11197, 11297, 11435, 11474, 11687, 11688, 11843, 11914, 12239, 12282, 12322, 12561, 13118, 13173, 13458, 13518, 13527, 13606, 13785, 13987, 14011, 14012, 14072, 14155, 14344, 14353, 14469, 14675, 14691, 14692, 14704, 14705, 14924, 14946, 14951, 14953, 15035, 15037, 15069.

6% გირავნობის ფურცელნი, გამოსულნი მე-4 კონვერსიის მეორმოც-დაოთხე გამღიერებულს ტირაჟში.

(სარგებლის მატება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მეოთხე კონვერსიის მე-44 გამღიერებულს ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1897 წლის 1 ივლისიდგან).

გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1 იანვრამდე 1881 წ. (1874 წლის 28 მაისის წესდების ძალით—არა ურთერთის თავდებობით).

100 მან: ღირსებ.

27 წლით და 6 თვით.

11 სერ. №№ 64, 78, 151, 159 164.

54 წლით და 6 თვით.

5 სერ. № 135.

43 წლით და 6 თვით.

7 სერ. №№ 4, 6, 10, 11, 14, 15, 16, 17, 20, 23, 24, 25, 27, 30, 39, 40, 44, 56, 61, 65, 67, 83, 87, 89, 90, 93, 105, 106, 113, 117, 119, 120, 123, 126, 136, 138, 152, 159, 161, 164, 169, 172, 177, 181, 184, 189, 200, 203, 209, 229, 313, 316, 319, 322, 324, 325, 331, 332, 351, 356, 357, 363, 365, 372, 375, 377, 380, 386, 388, 393, 398, 399, 403, 406.
9 სერ. №№ 16, 201, 211, 297.

500 მან. ღირებ.

27 წლით და 6 თვით.

4 სერ. №№ 29, 33, 35, 59, 60, 61, 67, 68, 73, 82, 88, 89, 93, 95.

54 წლითა და 6 თვით.

2 სერ. № 34.
5 სერ. №№ 5, 28, 89.

43 წლითა 6 თვით.

9 სერ. № 5.

1000 მან. ღირსებ.

27 წლითა და 6 თვით.

4 სერ. №№ 4, 8, 13, 15, 16, 26.

54 წლითა და 6 თვით.

1 სერ. №№ 1, 4, 5, 6, 11, 14, 15, 16, 18, 20.
2 სერ. №№ 35, 43, 44, 45, 54, 55, 61.
3 სერ. №№ 21, 28, 37, 76.
5 სერ. №№ 1, 9.

43 წლით და 6 თვით.

6 სერ. №№ 6, 8, 9.
9 სერ. № 30.

6% გირავნობის ფურცელნი, გამოსულნი მე-4 კონვერსიის მე ორმოც-და-მეოთხე გამღიერებულ ტირაჟში.

გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 1881 წლის 1 იანვრიდამ (1881 წლის 17 თებერვლის წესდების ძალით—ურთიერთის თავდებობით).

100 მან. ღირსებ.

27 წლით და 6 თვით.

12 სერ. №№ 12, 34.
18 სერ. № 107.
19 სერ. № 170.
20 სერ. № 308.
21 სერ. №№ 77, 101, 103, 111.

43 წლით და 6 თვით.

9 სერ. №№ 19, 29, 56.
10 სერ. №№ 3, 22, 28.

500 მან. ღირებ.

12 სერ. №№ 8, 14, 25, 29, 40 44, 48.
19 სერ. №№ 94, 107, 115, 220.
20 სერ. № 115.

43 წლით და 6 თვით.

13 სერ. № 28.

1000 მან. ღირებ.

27 წლით და 6 თვით.

17 სერ. №№ 24, 393, 592, 602, 633.
18 სერ. №№ 73, 158, 168, 187, 210, 232, 250, 252, 268, 289, 296, 297, 302, 339, 363, 369, 399, 407, 409, 433, 435, 453, 454, 473, 483, 501, 503, 510, 513, 532, 565, 577, 600, 608, 611, 625 636, 637, 669, 681, 705, 708.
19 სერ. №№ 22, 55, 97, 116, 119, 126, 175, 201, 300, 308, 337, 350, 401, 410, 452, 458, 466, 527, 528.

43 წლით და 6 თვით.

9 სერ. № 47.
10 სერ. №№ 2, 3.
11 სერ. №№ 1, 8, 24, 39.
13 სერ. № 19.

სარგებლის მატება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მე 43 ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1897 წლის 1 ივლისიდგან. ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1897 წლის 1 ივლისიდგან; ვადაზე ადრე წარმოდგენილნი გარდახდილ იქმნებიან გამოკლებით. დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ფასი იქმნება დაჭერილი.

ამ გირავნობის ფურცლებით ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში; პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებაში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში; ოდესაში—ბ. ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორის სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებებში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებებში; რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებაში და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

(1—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Мая 1897 г

სტამბა ე. ხარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.